საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 490 2018 წლის 31 დეკემბერი ქ. თბილისი

„საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის №479 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2018 წლის 25 დეკემბრის №479 ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის 2^2 პუნქტის საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ქეთევან ქოქრაშვილი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი ამილახვარი – შპს – თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ასოციირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

ნინო ლიპარტია – ა(ა)იპ – იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ – საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისათვის აღმასრულებელი დირექტორი (საბჭოს მდივანი);

ნატო გენგიური – სსიპ – საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ლევან გორდეზიანი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ირაკლი ბურდული – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი, პროფესორი;

სერგო ჭელიძე – შპს – კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკალავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

გაიანე სიმონია – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების კვლევის და სტრატეგიული

განვითარების დეპარტამენტის უფროსი, გერიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;

ხათუნა თოდაძე – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ანა ფირცხალაშვილი – შპს – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

მაკა ლაშხია – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი – ა(ა)იპ – საქართველოს შემოქმედებითი კავშირი საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

სალომე თოთიბაძე – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;

თეა მჭედლური – საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.“.

მამუკა ბახტაძე